



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
ბრძანება

თბილისი



MES 1 22 0000011163



11/01/2022

კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების მიღების მიზნით, 2022 წლის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 28 დეკემბრის N1430554 და 2021 წლის 31 დეკემბრის N1441197 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო

პროგრამას, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების მიღების მიზნით, განისაზღვროს 2022 წლის პრიორიტეტები:

ა) 021 ხელოვნება/Art;

ბ) 061 ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები/ Information and Communication Technologies (ICTs);

გ) 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე / Engineering and Engineering Trades;

დ) 072 წარმოება და გადამამუშავება / Manufacturing and Processing;

ე) 073 არქიტექტურა და მშენებლობა / Architecture and Construction;

ვ) 081 სოფლის მეურნეობა / Agriculture;

ზ) 082 მეტყევეობა / Forestry;

თ) 083 მეთევზეობა / Fisheries;

ი) 084 ვეტერინარია / Veterinary;

კ) 088 ინტერდისციპლინური/ Inter-disciplinary;

ლ) 091 ჯანდაცვა / Health;

მ) 101 პერსონალური მომსახურებები / Personal Services;

ნ) 104 ტრანსპორტის მომსახურებები / Transport Services;

ო) 0413.3.2 ლოგისტიკა/Logistics;

პ) 0112.3.1 სკოლამდელი აღზრდა/Preschool Education.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

